


თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელეები განისაზღვრა 12 459 500.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 8 990 958.4 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 72.2%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 8 272 260.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.0%-ია.

საქართველოს 2011-2018 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 720 893.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 029 429.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 72.3%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 625 658.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 628 529.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 140 135.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 70.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 921 770.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.9%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 349 995.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 237 478.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 67.9%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 177 304.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 74.7%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 760 082.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 583 914.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 76.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 547 527.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.8%-ია.

2018 წლის 9 თვის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 1 284.6 მლნ ლარი.
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი ფულადი დახმარების გაცემა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 479.2 მლნ ლარი;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებები - დანამატს სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. უზრუნველყოფილია დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 33.8 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში უწყვეტად ხორციელდება მოსახლეობის, როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება; გეგმური ქირურგია, მ.შ. კარდიოქირურგიისა და ონკოლოგიური დაავადებების ქირურგია; ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა - ქიმიო/ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 536.4 მლნ ლარი;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად (2017 წლის აპრილიდან) მიმდინარეობდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით. ქვეყნის მასშტაბით დაფინანსდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2018 წლის ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიური სოციალური დახმარების (180 ლარი) გაცემა.

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში ბინა გადაეცა 942 ოჯახს, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 478 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 67 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 120 საცხოვრებელი სახლი. 20 ოჯახი უზრუნველყოფილ იქნა საკონპენსაციო თანხით (თითოეულ ოჯახზე 50,0 ათასი ლარის ოდენობით). დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა თბილისში (289 ბინა). ასევე დასრულდა ზოგიერთი ობიექტის სარემონტო/სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები;
- გრძელვადიანი საცხოვრებლით ახალაშენებულ კორპუსებში დაკმაყოფილდა 459 ოჯახი (თბილისში - 179 ოჯახი, ქ. ზუგდიდში - 240 ოჯახი; დაბა ვაზიანში - 40 ოჯახი). მიმდინარეობდა II ეტაპის მშენებლობა ქ. ქუთაისში (სამი შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), III ეტაპის მშენებლობა ზუგდიდში (სამი თორმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), I ეტაპის (ორი ათსართულიანი) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა წყალტუბოში სოფელ გვიშტიბში და მცხეთაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ორი ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა მიმდინარეობდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სამტრედიიაში;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 6 266 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 130 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50 - დან 300 ლარამდე);
- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 481.5 მლნ ლარი.
- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 458 საჯარო, 3 კერძო სკოლაში და 2 პროფესიულ სასწავლებელში;
- უზრუნველყოფილი იქნა 1 244 საჯარო სკოლის 70 400 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.
- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნენ დაფინანსებით, ამ მიზნით მიიმართა 21.4 მლნ ლარი;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა - 88.8 მლნ ლარი;
- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ მიზნით დაფინანსდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამ მიზნით მიიმართა 15.1 მლნ ლარი;
- დასრულდა 2 დიდი და 14 მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, 3 საჯარო სკოლის სრული, 24 საჯარო სკოლის ნაწილობრივი და 3 პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ექვსი მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლისთვის გადასაცემად შესყიდულ იქნა 24 ერთეული სტანარტული პორტაბელური კომპიუტერი, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და აღჭურვილობის შეძენის მიზნით დაფინანსდა 395 საჯარო სკოლა, 3 უნივერსიტეტი და 4 პროფესიული კოლეჯი. ასევე, მოდულარული პროგრამების დანერგვისათვის საჭირო აღჭურვილობებისა და ხელსაწყოების შეძენის მიზნით, დაფინანსდა 7 პროფესიული კოლეჯი.
- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში დასრულდა სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარტიკამის საჯარო სკოლის ეზოს და ღობის მოწყობის

სამუშაოები, შესყიდულ იქნა და 36 საჯარო სკოლას გადაეცა 429 ცალი სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი, საგამოცდო ცენტრებს გადაეცა 820-ზე მეტი მობილური ტიპის კონდიციონერი, 18 საგამოცდო ცენტი აღიჭურვა გამაგრებელი მოწყობილობით, საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად შეძენილია 800 ერთეული სასკოლო დაფა;

- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება როგორც ქვეყნის, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;
- ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;
- ქართული ლიტერატურისა და კულტურის მასშტაბური პოპულარიზაციის საქმეში საეტაპო მნიშვნელობის პროექტის „ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს წარდგენა“ ფარგლებში ხელი შეეწყო სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტების მომზადებას;
- საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს: ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში; თბილისის გრან-პრი ძიუდოში; მსოფლიო რბენა „Wings for Life“ 2018; ჭიდაობის გრან-პრი (ბალავაძე - კარტოზია); ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში; ევროპის სპორტის კვირეული; მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა.
- სპორტის 49 სახეობაში დაფინანსდა 118 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 187 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული 106 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 621 მედალი, მათ შორის: 206 ოქრო, 198 ვერცხლი და 217 ბრინჯაო;
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წწ) სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 79 საფეხბურთო კლუბი (საბაზო დაფინანსება);
- „კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცა 33 ოლიმპიურ ჩემპიონზე და 741 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე; სტიპენდია გაიცა 148 საქართველოს სახალხო არტისტებზე, სახალხო მხატვრებზე და რუსთაველის პრემიის ლაურიატებზე და სოციალური დახმარება გაიცა: 411 ვეტერანი სპორტსმენის და სპორტის მუშაკისთვის და 319 მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელისთვის და 25 ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისთვის.
- „სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლება“ ქვეპროგრამის ფარგლებში რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით მიმდინარეობს თბილისში - 7, ხოლო ქუთაისში - 3 სტანდარტული ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა;
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში და აგრეთვე, იმ სოფლებში, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიენიჭათ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2017 წლის 1 დეკემბრიდან 2018 წლის 1 მაისამდე პერიოდში მოხმარებული 10.41 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 5.9 მლნ ლარის ოდენობით;
- საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობის რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა დანადგარების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების, საირიგაციო და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების, სხვადასხვა მოცულობის გრანტების გაცემის მიზნით მიიმართა 33.1 მლნ ლარი;

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 41.5 მლნ ლარი;
- „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 1 343 ჰექტარზე გასაშენებელი 215 ბაღის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა 8.5 მლნ ლარი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობდა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, ნოდულარული დერმატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ბრუცელოზის, თურქულის, საწინააღმდეგოდ. ასევე, მიმდინარეობდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, აღნიშნული ღნისძიებების დაფინანსების მიზნით მიიმართა 29.6 მლნ ლარი;
- „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის“ ფარგლებში გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული იქნა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 2 128 ინსპექტირება (არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა), მათ შორის 165 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების;
- დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული ვიზიტორთა სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველზე, ცხრა თვის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 983.1 ათასი, მათ შორის 469.6 ათასი - უცხოელი, რაც 15%-ით აღემატება 2017 წლის შესაბამისი პერიოდის ვიზიტორთა რაოდენობას;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 503.8 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაცია - 110.3 მლნ ლარი;
 - ✓ საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 64.5 მლნ ლარი;
 - ✓ ჩქაროსნული ავტომანქანების მშენებლობა - 199.7 მლნ ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 195.9 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 40.6 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 1.8 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) პროექტზე - 3.2 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) - 11.7 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II - 9.3 მლნ ლარი;
 - ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი - 45.0 მლნ ლარი;
 - ✓ მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 44.5 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში:
 - ✓ დასრულდა ქალაქ ბოლნისის, წალკის, ქარელის და წნორის წყალსადენის რეაბილიტაცია;
 - ✓ მიმდინარეობდა ახმეტის, ტყიბულის, სიღნაღის, საგარეჯოს, ხობის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, თელავის სოფელ კურდღელაურის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
 - ✓ მიმდინარეობდა დუშეთის (მეორე ფაზა), წალკის, ბოლნისის (მეორე ფაზა), ლიკანისა და წალვერის (მეორე ფაზა) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;

- ✓ მიმდინარეობდა თელავის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები და წყალტუბოს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და სახედამხედველო მომსახურება;
- ✓ მიმდინარეობდა ქ. ურეკში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა;
- ✓ მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში მუხნარის და ახალი აღმოსავლეთის რეზერვუარების, მუხნარის და ქვიტირის სატუმბი სადგურების, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;
- ✓ მიმდინარეობდა ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის, კერძოდ: გამანაწილებელი ქსელის, ბაშის რეზერვუარის, ინგირის სატუმბი სადგურის მშენებლობა და 9 ჭაბურღილის ბუღითი სამუშაოები;
- ✓ დასრულდა გურჯაანში 80 საცხოვრებელი კორპუსის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და ამავე საცხოვრებელი კორპუსების წყალმომარაგების შიდა სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 117.7 მლნ ლარი, მათ შორის წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 11.8 მლნ ლარი, წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე - 6.5 მლნ, ხოლო ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 95.7 მლნ ლარი;

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით მოეწყო 110 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებიდან მოწვეული ჟურნალისტებისა და ტუროპერატორებისათვის, მიმდინარეობდა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ტელეარხ „Euronews“-სა და ყაზახეთის, უკრაინისა და რუსეთის წამყვან ტელეარხებზე, გაზეთ „The Holland Times“-ში და გერმანულ ჟურნალ „Das Erbe Unserer Welt“-ში განთავსდა სარეკლამო გვერდი საქართველოს შესახებ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიმართა პრეზენტაციები/შეხვედრები საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობისა და ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ, საქართველო წარმოდგენილ იქნა ქ. ბერლინში გამართულ ფესტივალზე „Berlin Travel Festival“, საქმიანი ტურიზმის გამოფენაზე „IBTM Arabia 2018“ და აგრეთვე, 20 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე FITUR (მადრიდი); EMITT (სტამბული); IMTM (თელ-ავივი); ITB (ბერლინი); UITT (კიევი); „Matka 2018“ (ფინეთი); „Tourest 2018“ (ტალინი); „International Tourism Trade Show 2018“ (ეროცლავი) და „Green Week 2018“ (ბერლინი); „CTF 2018“ (თბილისი); „IMEX 2018“ (ფრანკფურტი); „AITF 2018“ (ბაქო); „COTTM 2018“ (პეკინი); „KITF 2018“ (ალმა-ატა); „ATM 2018“ (დუბაი); „Batumi Expo 2018“ - ბათუმი; „Otdykh Leisure 2018“ (მოსკოვი); „JATA 2018“ (ტოკიო); „Top Resa IFTM 2018“ (პარიზი); „Frankfurt River Bank Festival“ (ფრანკფურტი));
- 2018 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით საქართველოს ეწვია 6 788 377 საერთაშორისო მოგზაური, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 11.2%-ით;
- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 52 უძრავი ქონება, ხოლო 774 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 1 017 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 103 ბენეფიციარისათვის 34 მლნ ლარის ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში სსიპ-აწარმოე საქართველოში მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 77 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე (ინდუსტრიულ ნაწილში - 52 ბენეფიციარ კომპანიასთან და სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის

მიმართულებით 25 ბენეფიციარ კომპანიასთან). აღნიშნული ბენეფიციარებიდან საბანკო სესხის კომპონენტით ისარგებლა 65-მა ბენეფიციარმა, ხოლო ლიზინგის კომპონენტით - 12-მა ბენეფიციარმა. ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში პროგრამის 12 ბენეფიციარ კომპანიას აუნაზღაურდა გაწეული მომსახურების ხარჯი. აღნიშნულ 77 ბენეფიციარ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 106.7 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობამ გადააჭარბა 165 მლნ ლარს.

- საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ბარბადოსთან. ხელი მოეწერა 8 ორმხრივ შეთანხმებას, ძალაში შევიდა 27 ორმხრივი და 15 მრავალმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმება, ინიცირებული იქნა 3 მრავალმხრივი შეთანხმება; გაფორმდა 14 შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება მოლდოვას რესპუბლიკასთან და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება საუდის არაბეთის სამეფოსთან.
- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2018 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 15 მარტს გამოშვებული 320 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 280 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 7.259 საპროცენტო განაკვეთით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:
 - ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური განაკვეთით 7.750%;
 - ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.750%;
 - ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.875%;
 - ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.875%.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2018 წლის 15 მარტს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით; 2018 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2014 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 12 000.0 ათასი ლარის ოდენობით; 2018 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- 2018 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. სამი კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 705.0 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია, რაც სრულად ბენჩმარკ ბონდებს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით (ერთიანი დაფარვით). საქართველოს ბაზრის სიდიდის გათვალისწინებით თითოეული ვადიანობისთვის ბენჩმარკ ბონდის მოცულობა განისაზღვრა დაახლოებით 240.0 მლნ ლარით. ბენჩმარკ ბონდები ზრდის ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების მიმართ და ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ზრდას;
- ჩატარდა 2018 წლის 28 აპრილის და 13 მაისის შუალედური არჩევნები;

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 პოლიტიკური პარტია. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 12.0 მლნ ლარამდე;
- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM, QRF)“, ასევე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვინელ მისიაში (EUTM RCA) და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვინელ მისიაში (EUTM Mali);
- საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 84 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 132.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 036 368.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 009 287.1 ათასი ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 9 847.7 ათასი ლარით), რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.4%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 12.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 955 703.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 861 864.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.2%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.0%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 150 304.5 ათასი ლარი;
- მივლინება - 56 755.6 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 132 562.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 16 308.2 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 51 131.3 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 27 290.2 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 20 044.5 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 109 166.7 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შექმნის ხარჯები - 16 244.1 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 282 056.5 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 384 081.5 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 95.3%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.6%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 176 407.4 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 207 636.1 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 337 118.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 306 657.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.7%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 99 848.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.6%-ს შეადგენს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 54 541.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 18 904.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 58.1 %-ს შეადგენს.
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 14 401.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73.9 %-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 10 966.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76.4 %-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 722 921.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (765 355.5 ათასი ლარი) 94.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 8.7%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 517 568.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (2 664 010.9 ათასი ლარი) 94.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 30.4%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 284 570.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 536 446.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 479 244.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.6%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 126 401.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.8%-ს შეადგენს;


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 867 728.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 823 277.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 94.9%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 10.0%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 480 849.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;


- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 88 374.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 26 906.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

2018 წლის 9 თვის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური
აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში**

**2017-2018 წლების 9 თვის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 479 191.6 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 368 560.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.1%. მათ შორის:
 - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 244 206.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (268 537.0 ათასი ლარი) 90.9%-ია;
 - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 23 426.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 329.7 ათასი ლარი) 100.4%-ია;
 - ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 387 989.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (416 546.6 ათასი ლარი) 93.1%-ია;

- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 673 772.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (714 693.8 ათასი ლარი) 94.3%-ია;
 - ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 39 165.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (56 084.6 ათასი ლარი) 69.8%-ია.
- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 566 621.3 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 523 022.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 6.9%. მათ შორის:
 - ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 236 300.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (249 430.5 ათასი ლარი) 94.7%;
 - ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 28 149.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (30 416.5 ათასი ლარი) 92.5%;
 - ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 21 219.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 907.5 ათასი ლარი) 70.9%-ს შეადგენს;
 - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 237 354.2 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (256 866.7 ათასი ლარი) 92.4%-ია.
 - საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 848 948.0 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 801 308.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.6%. მათ შორის:
 - ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 441 021.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (453 719.5 ათასი ლარი) 97.2%;
 - ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 36 178.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (35 793.6 ათასი ლარი) 101.1%;
 - ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 87 793.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 189.1 ათასი ლარი) 90.3%-ს შეადგენს;
 - ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 96 412.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 764.9 ათასი ლარი) 94.7%-ს შეადგენს;
 - ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 139 903.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (160 480.9 ათასი ლარი) 87.2%-ს შეადგენს.
 - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 112 458.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 896 494.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 11.9%. მათ შორის:
 - ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 35 467.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (48 459.7 ათასი ლარი) 73.2%;
 - ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 138 645.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (139 935.7 ათასი ლარი) 99.1%-ს შეადგენს;
 - ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 9 365.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 824.6 ათასი ლარი) 95.3%-ს შეადგენს;
 - ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართულ იქნა 6 595.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 401.5 ათასი ლარი) 63.4%;
 - ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 524 733.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (685 864.0 ათასი ლარი) 76.5%;
 - ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 160 950.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (185 607.1 ათასი ლარი) 86.7%;


- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 20 736.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 366.1 ათასი ლარი) 64.1%-ს შეადგენს.
 - გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 52 802.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 46 143.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.6%. მათ შორის:
 - ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 947.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (897.0 ათასი ლარი) 105.7%-ს შეადგენს;
 - ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 760.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (700.1 ათასი ლარი) 108.6%-ს შეადგენს;
 - ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 15 407.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 598.6 ათასი ლარი) 71.3%-ს შეადგენს;
 - ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 29 029.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 607.1 ათასი ლარი) 98.0%-ს შეადგენს.
 - საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 25 820.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 15 896.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.2%. მათ შორის:
 - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 5 805.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 524.0 ათასი ლარი) 42.9%-ს შეადგენს;
 - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 3 612.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 563.5 ათასი ლარი) 79.1%-ს შეადგენს;
 - ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 6 478.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 733.0 ათასი ლარი) 83.8%-ს შეადგენს.
 - ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 821 409.1 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 782 430.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.4%. მათ შორის:
 - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 3 686.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 388.3 ათასი ლარი) 22.5%;
 - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 573 622.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (575 251.6 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
 - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 118 474.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (119 045.1 ათასი ლარი) 99.5%;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 26 427.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 016.0 ათასი ლარი) 61.4%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 60 220.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (67 708.1 ათასი ლარი) 88.9%-ს შეადგენს.
 - დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 272 678.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 248 028.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 3.3%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 120 288.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (127 294.0 ათასი ლარი) 94.5%;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 76 236.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (91 420.6 ათასი ლარი) 83.4%-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 41 505.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 115.1 ათასი ლარი) 96.3%-ს შეადგენს;

- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 183.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 188.0 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 814.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 660.3 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს.

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 942 816.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 944 128.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 12.5%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 488 434.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (488 626.1 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 27 225.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (27 625.0 ათასი ლარი) 98.6%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 123 716.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (123 324.8 ათასი ლარი) 100.3%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1 411.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 513.0 ათასი ლარი) 93.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 76 896.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (76 766.1 ათასი ლარი) 100.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 42 667.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 985.6 ათასი ლარი) 99.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 183 776.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (181 975.5 ათასი ლარი) 101.0%-ს შეადგენს.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



